საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2021 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

ნოემბერი, 2021 წელი

სარჩევი

მიმოხილვა 3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 3
პორტფელის მართვა 7
საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე აქტივობები 8

მიმოხილვა

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლიც სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხებთან ერთად, სისტემაში იურიდული პირების დამატებას გულისხმობს. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მხრიდან ჩატარდა აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე აქტივობები - მათ შორის, დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია და შემუშავდა დეპოზიტების დაზღვევის მართვის საინფორმაციო სისტემის (ელექტრონული პროგრამის) განახლების ფუნქციონალური აღწერა. მომზადდა კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტები.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2021 წლის ივლისის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 35 863 134 272 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 414 624 316 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 4 193 697 315 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 2 585 022 ლარი შეადგინა.

2021 წლის აგვისტოს თვეში, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 36 267 476 892 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 377 263 695 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 4 252 809 861 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 636 931 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 36 712 171 296 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 622

532 668 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 4 295 583 592 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 666 338 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 0.41%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2021 წლის თებერვალში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.36%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 0.69%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2021 წლის ივლისის თვეში დაფიქსირდა და 3.15% შეადგინა. დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა კი 2021 წლის აპრილში დაფიქსირდა და 3.47% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.20	იან.21	თებ.21	მარ.21	აპრ.21	მაი.21	ივნ.21	ივლ.21	აგვ.21	სექ.21	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	35,42	35,56	36,76	37,03	36,39	36,24	35,28	35,86	36,27	36,71	
თვიური ცვლილება, %		0,41	3,36	0,73	-1,73	-0,39	-2,65	1,64	1,13	1,23	0,41
ფიზიკური პირების დეპოზიტები	18,49	18,72	18,90	19,41	19,93	19,19	18,82	19,41	19,38	19,62	
თვიური ცვლილება, %		1,22	0,96	2,70	2,68	-3,71	-1,90	3,15	-0,19	1,27	0,69
დაზღვეული დეპოზიტები	4,04	3,92	3,99	4,03	4,17	4,09	4,14	4,19	4,25	4,30	
თვიური ცვლილება, %		-3,06	1,80	1,04	3,47	-2,03	1,26	1,36	1,41	1,01	0,70

2021 წლის მესამე და მეორე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 4.05% და 4.25%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 3.83%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	ივნ.21	სექ.21
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	35,28	36,71
კვარტალური ცვლილება, %	-	4,05
ფიზიკური პირის დეპოზიტები	18,82	19,62
კვარტალური ცვლილება, %	-	4,25
დაზღვეული დეპოზიტები	4,14	4,30
კვარტალური ცვლილება, %	-	3,83

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2021 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტები შესაბამისად 8,71 და 12,34%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 14,70%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	სექ.20	სექ.21
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	33,77	36,71
კვარტალური ცვლილება, %	-	8,71
ფიზიკური პირის დეპოზიტები	17,47	19,62
კვარტალური ცვლილება, %	-	12,34
დაზღვეული დეპოზიტები	3,75	4,30
კვარტალური ცვლილება, %	-	14,70

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17,3%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 9.58%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 15,4%-ით), ხოლო ევროში 19.1%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 25,7%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	სექ.20	სექ.21	სექ.21 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	4,24	4,97	4,97
ცვლილება, %		17,3	17,3
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	11,60	12,71	13,38
ცვლილება, %		9,58	15,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,63	1,94	2,05
ცვლილება, %		19,1	25,7

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2021 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (3.12%) მარტში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 498 067 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	დეკ.20	იან.21	თებ.21	მარ.21	აპრ.21	მაი.21	ივნ.21	ივლ.21	აგვ.21	სექ.21	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	2,50	2,45	2,42	2,50	2,56	2,49	2,55	2,59	2,64	2,67	
თვიური ცვლილება, %		-1,99	-1,19	3,12	2,33	-2,71	2,39	1,52	2,01	1,12	0,73

2021 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 3.93%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 13.84%-ით აღემატება (ცხრილი #7).

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	ივნ.21	სექ.21
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	7,59	7,89
კვარტალური ცვლილება, %	-	3,93

ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	სექ.20	სექ.21
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	6,93	7,89
კვარტალური ცვლილება, %	-	13,84

2021 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 97% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 21,89%. დაზღვეული დეპოზიტების 53% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 47% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2021 წლის მესამე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 7 888 292 ლარი შეადგინა. კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა 1 915 454 ლარი, ხოლო გამოსყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის მოცულობამ 5 670 000 ლარი შედგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2021 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2021 წლის 6 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 2 497 870,07 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 2 450 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 9,000%-ია, კუპონი 8,000%.

2021 წლის 3 აგვისტოს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 8 179 412,13 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 8 280 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 8,900%-ია, კუპონი 8,000%.

2021 წლის 24 აგვისტოს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა ნომინალური ღირებულება 1 950 000 და 2 000 000 ლარია. შემოსავლიანობის განაკვეთი კი შესაბამისად 9.300% და 9.200%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად სააგენტომ შესაბამისად 1 880 711,09 და 1 935 884,70 ლარის ინვესტიცია განახორციელა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდის კუპონი 8,125%.

2021 წლის 7 სექტემბერს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 178 931,16 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 180 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 9,100%-ია, კუპონი 8,000%.

2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 81 126 199 ლარია.

საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე აქტივობები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, დაზღვევის სისტემაში 2022 წლის 1 იანვრიდან იურიდიული პირებიც ჩაერთვებიან. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, დაიწყო მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის მართვის საინფორმაციო სისტემის განახლებაზე. ცვლილებები შევა ელექტრონული პროგრამის უკვე მოქმედ ნაწილში და ამასთან, დაემატება ახალი ფუნქციონალები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულ შესაბამისობას საკანონმდებლო ცვლილებებთან.

ამ მიზნით შემუშავდა პროგრამის განახლებისა და ახალი ფუნქციონალების აღწერის, ასევე ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილი იქნება სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ სატენდერო წინადადების სახით, შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით.

სიახლის შესახებ მოსახელობის ინფორმირების მიზნით, მიმდინარე წლის ბოლოდან ჩატარდება საინფორმაციო კამპანია. სააგენტომ შეიმუშავა ახალი საინფორმაციო ანიმაციური ვიდეო-რგოლის სცენარი, რომელიც მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დამზადდება და გავრცელდება, როგორც წამყვანი სატელევიზიო, ისე სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ მათ კლიენტებს დაეგზავნებათ შესაბამისი შეტყობინება; ასევე, დამზადდება განახლებული საინფორმაციო ბუკლეტი, ბანკების ოფისებში განსათავსებლად.